

## ბუნებრივი აირის გაზონვის სიგნალიზატორებით საცხოვრებელ ბინების და მონიტორინგის სისტემებით მრავალსართულიანი კონკურსების

### აღჭურვის აუცილებლობის შესახებ

ვლადიმერ ფადიურაშვილი, თამაზ ძაგანია, ზაგალ აზმაიფარაშვილი,

ზურაბ ჯოხარიძე, ნუგზარ იაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

#### რეზიუმე

სტატიაში განხილულია საცხოვრებელ ბინებში საყოფაცხოვრებო აირის გაუწივის აღმოსაჩენი ხელსაწყოებით აღჭურვის აუცილებლობა. აღწერილია ასეთი ხელსაწყოების მუშაობის მეთოდები და გამოყენებული გადამწოდების სახეები. ნაჩვენებია აგრეთვე მრავალსართულიან კორპუსების მონიტორინგის სისტემით აღჭურვის შესაძლებლობა.

**საკანონი სიტყვები:** აირის გაუწივა. სიგნალიზატორი. გადამწოდი. მონიტორინგის სისტემა.

#### 1. შესავალი

საყოფაცხოვრებო აირის გაუწივის აღმოჩენის, ფაქტის გამოვლენის და ადამიანთა გაფრთხილების მნიშვნელობა ყველასთვის ცხადია. სწორედ ამ პრობლემის გადაწყვეტის და ადამიანთა უსაფრთხოებისთვის არის განკუთვნილი საცხოვრებელ ბინებში აირის გაუწივის სიგნალიზაციები და მონიტორინგის სისტემები. დღეისთვის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აწარმოებენ აირის გაუწივის აღმოსაჩენ სხვადასხვა მოწყობილობებს. მათ შორის დიდი ადგილი უკავია საცხოვრებელ ბინებში აირის გაუწივის სიგნალიზატორებს. ევროპის და ამერიკის (აშშ, კანადა) ქვეყნებში ბინების და სახლების გაყიდვა ან გაქირავება იკრძალება, თუ ისინი სახანძო უსაფრთხოების სისტემებთან ერთად აღჭურვილი არა გაზის გაუწივის სიგნალიზატორებით და სისტემებით.

ბოლო დროს გახშირებულმა მოვლენებმა დღის წესრიგში დააყნა ამ საკითხების მოგვარების აუცილებლობა, რათა თავიდან იქნას აცილებული აფეთქების, ხანძრების, ადამიანთა მოწამვლის და დაღუპვის შემთხვევები.

როგორც სტატისტიკამ აჩვენა, ზამთრის თვეებში თბილისში ყოველდღიურად ხდება ბუნებრივი აირით მოწამვლის გამო სასწავლო დახმარების 3 ან 4 გამოძახება (დღეში იწამლება საშუალოდ 6-7 ადამიანი), 2011 წ. საქართველოში საყოფაცხოვრებო აირით მოიწამლა 1200-ზე მეტი, 2012 წ. კი 1970 ადამიანი. ამ ორ წელიწადს აირით დაიღუპა 14 ადამიანი. ყოველივე ეს მიუთითებს აირის გაუწივის აღმოჩენის და ამის შესახებ ადამიანთა გაფრთხილების აუცილებლობაზე. აირის გაუწივის სიგნალიზატორების და მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებში მონიტორინგის სისტემების ფართოდ დაწერებულ გადაწყვეტის აღნიშნულ პრობლემას.

#### 2. ძირითადი ნაწილი

განზრახულია დამუშავდეს, დამზადდეს საცდელი ნიმუშები, გამოიცადოს და სერიული წარმოებისთვის მოწადებელი საცხოვრებელ ბინებში საყოფაცხოვრებო აირის გაუწივის და დაგროვების შემთხვევების დაფიქსირების სიგნალიზატორები და მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებში. აირის გაუწივის მონიტორინგის კომპიუტერული სისტემა, რომელიც გარდა ხმოვანი და ვიზუალური სიგნალების გამომუშავების, შეასრულებს სხვა ფუნქციებსაც: ბინაში აირის მიწოდების ავტომატურ გადაკეტვას; საშიშროების შემთხვევაში SMS სიგნალის გადაცემას, მაგალითად რამდენიმე მეზობელთან ან ნათესავთან და საგანგებო სიტუაციების საშსახურში;


ბუნებრივი აირის გაუწივის და ბინაში მისი დაგროვების შემთხვევაში, სიგნალიზატორი გამოსცემს ხმოვას სიგნალს და ანთებს ნათურას. ხელსაწყომ უნდა დაფიქსიროს ბინაში აირის გაუწივის შედეგად ჰაერში აირის მომატებული კონცენტრაციის არსებობა.

დამუშავებულ ხელსაწყოებს და მოწყობილობებს და მონიტორინგის სისტემებს უნდა ახასიათებდეთ მაღალი საიმედოობა, მრავალფუნქციანალობა, ავტომატური დაცვა დენის გამორთვის შემთხვევაში. გარე მოწყობილობების მართვა მაგნიტური რელეს საშუალებით, იმპულსური კლაპანის ჩართვის შესაძლებლობა (როგორც 220, ასევე 24 ვოლტზე), სიგნალიზატორის შესაძლებლობები არ უნდა იყოს დამოკიდებული დენის მიწოდების სიმძლავრეზე და სარეზერვო კვებაზე გადასვლისას არ კარგავენ თავის ფუნქციებს, უნდა გააჩნდეთ თვითდაგნოსტიკის ფუნქცია, გადამწოდის მდგომარეობის მუდმივი კონტროლი, გადამწოდის მუშაობის შესაძლებლობა დაბალი ძაბვის დროს და დაბალი ფასები.

ვვარაუდობთ, რომ ჩვენს მიერ დამუშავებულ და დამზადებულ მოწყობილობებში გამოყენებული იქნება ინოვაციური ტექნიკური წინადაღებები, რომლებიც სათანადო წესით გაფორმდება საპატენტო უწყებაში.

არსებული სიგნალიზატორების და მონიტორინგის სისტემების წინასწარმა შედარებითმა ანალიზმა გამოავლინა მათი როგორც დადებითი, ასევე მათი არყოფითი მხარეები. გაჩნდა შესაძლებლობა, რომ მოწყობილობებში შეტანილი იქნას როგორც თვისებრივი ასევე კონსტრუქციული ცვლილებები [1-3].

ხელსაწყოს მთავარი ელემენტია მგრძნობიარე გადამწოდი, რომელიც შეიძლება იყოს სხვადასხვა პრინციპზე აგებული. მაგალითად ნახევარგამტარული რომელიც ეფუძნება სქემის ელექტრული თვისებების შეცვლას გარემოში მეთანის კონცნტრაციის შეცვლით. არსებობს გადამწოდი რომელიც ეფუძნება გამოუყონილ აირთან შეხებისას სპეციალური თხელფენვანი ფირის ელექტროგამტარობის ცვლილებას. მსუთავი გაზის ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედების დროის მიხედვით განასხვავებენ კონცენტრაციის სამი სახის დოზას (ნახ.1).




ნახ.1. მსუთავი გაზის კონცენტრაციის დოზები ადამიანის ჯანმრთელობაზე  
მოქმედების დროის მიხედვით: 1-კონცენტრაციის სასიკვდილო დოზა;  
2-სერიოზული ზიანის მომტანი დოზა; 3-ნაკლები ზიანის მომტანი დოზა

კომპანია Seitron (იტალია) ამზადებს მეთანის, პროპანის და სხვა აირებისათვის გაუონვის დაფიქსირების ხელსაწყოების სერიას Sicurgaz, რომლებსაც შეუძლია დააფიქსიროს მსუთავი აირის, მეთანისა და თხევადი აირის გაუონვა. სამხრეთ კორეული ფირმა Olympia მომხმარებლებს

სთავაზობს SH სერიის დეტექტორებს ფეთქებადსაში აირებისათვის. იტალიური ფირმა Bertold-ის აირის სიგნალიზატორები ასევე განკუთვნილია მეთანისა და თხევადი აირებისათვის. რუსეთის წარმოების საყოფაცხოვრებო სიგნალიზატორის СГБ1-2 დანიშნულებაა ბუნებრივი და თხევადი აირების კონტროლი. ანალოგიურ ხელსაწყოებს უშვებებ უკრაინაში (დონეცკი, ხარკოვი, ლუცკი და სხვა). მსგავსი ხელსაწყოებია АВУС-Д, Спасатель, Вариотек, Тестер და სხვა მრავალი. ამ ხელსაწყოების ნაწილი იკვებება არა ელექტრული ქსელიდან არამედ ავტონომიურად (ელექტრული) [4-7].

ყველა აღნიშნული ხელსაწყოს ღირებულება ძირითადად დამოკიდებულია ხელსაწყოების ფუნქციებზე: აკონტროლებს ერთ პარამეტრს თუ შეუძლიათ სხვადასხვა აირის გაუონვის კონტროლი, რა ფუნქციებს ასრულებს, როგორაა გადაწყვეტილი კვების საკითხი და ზოგიერთი სხვა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და შპს „ანალიზხელსაწყოს“ მეცნიერთა და სპეციალისტთა ერთი ჯგუფი მუშაობს მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომ ფასად, მარტივი და მოსახერხებელი საყოფაცხოვრებო დანიშნულების აირების გაუონვისა და დაფიქსირების ხელსაწყოს შექმნაზე.

მაგალითის სახით მე-2 ნახაზზე ნაჩვენებია გაზის გაუონვის აღმოსაჩენი ხელსაწყოს საცხოვრებელი ბინის სამზარეულოში დაყენების ერთ ერთი ვარიანტი.




ნაზ.2. გაზის გაუონვის აღმოსაჩენი ხელსაწყოს სამზარეულოში  
დაყენების ერთ-ერთი ვარიანტი

მუშაობის დაწყებისთანავე გამოიკვეთა ის აუცილებელი საკითხები, რომელთა შესრულების გარეშე შეუძლებელი განვითარდა რიგორც მარტივი სიგნალიზატორების ასევე შედარებით რომელი მონიტორინგის სისტემებზე მუშაობა:

- არსებული აირების გაუონვის გამოსავლენი ხელსაწყოების დადებითი და უარყოფითი მხარეების შედარებითი ანალიზი;
- სხვადასხვა პრინციპზე დაფუძნებული გადამწოდების შედარება, ჩვენთვის მისაღები ვარიანტის შერჩევა ან ახალი გადამწოდის დამუშავება და დამზადება;
- ხელსაწყოს ელექტრული და კონსტრუქციული სქემების დამუშავება და ნახაზების შედგენა;

- ხელსაწყოს საცდელი ნიმუშის დამზადება, მისი გამოცდა და შემდეგ სქემების კორექტირება;
  - ხელსაწყოს დასამზადებლად საჭირო მასალებისა და მაკომპლექტებელი დეტალებისა და ნაწილების განსაზღვრა, წინასწარი ხარჯთაღრიცხვის შედგენა;
  - ხელსაწყოს მიერ მართვის სიგნალის (ბრძანების) საფუძველზე ბინაში ბუნებრივი აირის მიწოდების შეწყვეტა, ე.ი. ვენტილის ჩაკეტვა;
  - საკითხის შესწავლა თუ როგორ მოხდეს აირის გაუონვის შემთხვევაში ხელსაწყოდან სიგნალის გადაცემა რომელიმე წინასწარ განსაზღვრული აბონენტისათვის (მაგალითად, რომელიმე მეზობლის გაფრთხილება ან საგანგებო სიტუაციების სამსახურში შეტყობინების გაგზავნა).
- სიგნალიზატორის მიერ მართვის სიგნალის საფუძველზე ბინაში ბუნებრივი აირის მიწოდების შეწყვეტა შეიძლება განხორციელდეს ვენტილის ჩაკეტვით. ამისათვის გამოიყენება სპეციალური მართვადი ვენტილები, რომელთა დამზადება დიდი ზანა ათვისებულია საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნაში. მართვადი კლეპტრული ვენტილის ერთ ერთი ტიპის გარეგნული სახე მოტანილია მე-3 ნახაზზე.




**ნახ.3. მართვადი ელექტრული ვენტილის გარეგნული სახე**  
**1-ვენტილის კორპუსი. 2-კვების მიერთების ადგილი. 3-გზის ვენტილის ჩამკეტი.**  
**4-ვენტილის გალების ღილაკი. 5-გაზის მიწოდების მიმართულება.**  
**6-ვენტილის ჩაკეტვის ღილაკი**

### 3. დასკვნა

დამუშავებულ ხელსაწყოებსა და მოწყობილობებს უნდა ახასიათებდეთ მაღალი სამედობა, მრავალფუნქციონალობა, ავტომატური დაცვა დენის გამორთვის შემთხვევაში, გარე მოწყობილობების მართვა მაგნიტური რელეს საშუალებით, იმპულსური კლაპანის ჩართვის შესაძლებლობა (როგორც 220 ასევე 24 ვოლტზე), სიგნალიზატორის შესაძლებლობები არ უნდა იყოს დამოკიდებულია დენის მიწოდების სიმძლავრეზე და სარეზერვო კვებაზე გადასვლისას არ კარგავდენ თავის ფუნქციებს, უნდა გააჩნდეთ თვითდიაგნოსტიკის ფუნქცია, გადამწოდის მდგომარეობის მუდმივი კონტროლი, გადამწოდების მუშაობის შესაძლებლობა დაბალ ბაბვის დროს და დაბალი ფასები.

მრავალ ქვეყანაში არსებობს გაზის სიგნალიზატორის ტესტირებისა და დემონსტრირების სხვადასხვა ტიპის მოწყობილობები. უკრაინული ფირმა Temio-ს სადემონსტრაციო სტენდი ნაჩვენებია მე-4 ნახაზზე.



ნახ.4. გაზის სიგნალიზატორის სადემონსტრაციო სტენდი:

- 1-სიგნალიზატორის ელექტრონული ბლოკი.
- 2-ხმოვანი და მანათობელი სიგნალების ბლოკი.
- 3-მართვადი ვენტილი. 4-კვების ბლოკის ჩართვის ღილაკი. 5-იმიტაციის რეჟიმის ჩართვის ღილაკი.
- 6-გამწოვი ვენტილატორი. 7-ქსელში ჩართვის ჩანგალი.

ჩვენ მიერ გამოყენებული სიახლეები მნიშვნელოვნად გაზრდის მოწყობილობების საიმედოობას, საექპლუატაციო პარამეტრებს და, რაც მთავარია, იმოქმედებს ეკონომიკურ მხარეზე. შესაძლებელი გახდება მოწყობილობების ღირებულების შემცირება.

აირის გაფონვის აღმოსაჩენ ჩვენ სიგნალიზატორებს და მონიტორინგის სისტემას ქვეყნის შიგა ბაზარზე კონკურენტი არ გააჩნია. ჩვენი კვლევის და დამუშავების შედეგების გამოყენება შესაძლებელია სხვა მეზობელ ქვეყნებშიც. მოწყობილობები ძირითადად ტექნიკური პარამეტრებით შეესაბამება თანამედროვე უცხოურ ანალოგებს. წინასწარი გამოთვლებით, მოწყობილობათა სარეალიზაციო ფასები ნაკლები იქნება არსებულ მოწყობილობებთან შედარებით.

უნდა აღინიშნოს შედეგების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტურობის ერთი მხარეც: ამოქმედდება ერთი კონკრეტული ქარხანა, სადაც დასაქმდება 50-მდე ადამიანი. მუშაობის შედეგად, შემუშავებული იქნება ახალი სიგნალიზატორი და მონიტირების სისტემა, დამზადებული იქნება მათი საცდელი ნიმუშები, რომლებიც გაივლის გამოცდას რეალურ ობიექტებზე. მომზადდება ტექნოლოგიური სქემები, ასეთი მოწყობილობების რომელიმე ქარხანაში სერიულად წარმოების მიზნით.

**ლიტერატურა:**

1. Виноградов Ю. Контроль взрывоопасных газов. - Радио, 2000, № 10
2. Суров В. Сигнализатор загазованности воздуха. - Радио, 2009, № 9
3. <http://ymelie-ryki.ru/news/2011-02-01-147#ixzz2Plwho7qk>
4. [www.chipdip.ru](http://www.chipdip.ru)
5. [www.platan.ru](http://www.platan.ru)
6. [www.figaro.co.jp](http://www.figaro.co.jp)
7. [www.dmk-press.ru](http://www.dmk-press.ru)

**ALARM AND MULTI-STORY BUILDINGS HOUSING THE GAS LEAK  
MONITORING SYSTEM FOR NECESSITY**

Padiurashvili Vladimer, Dzagania Tamaz, Azmaiparashvili Zaal,  
Djokharidze Zurab, Iashvili Nugzar

Georgian Technical University

**Summary**

In this article there is described the necessity of equipping the flats and apartments with gas leakage devices. There is shown the gas leak monitoring system in the high-rise buildings. Device and monitoring system with its main technical parameters are in compliance with the existing foreign analog.

**О НЕОБХОДИМОСТИ ОСНАЩЕНИЯ ЖИЛЫХ КВАРТИР И  
МНОГОЭТАЖНЫХ КОРПУСОВ СИГНАЛИЗАТОРАМИ И  
СИСТЕМАМИ МОНИТОРИНГА УТЕЧКИ ГАЗА**

Падиурашвили В., Дзагания Т., Азмаипарашвили З.,  
Джохаридзе З., Яшвили Н.  
Грузинский Технический Университет

**Резюме**

Рассмотрены вопросы о необходимости установки в квартирах сигнализаторов утечки газов, а в многоэтажных корпусах систем мониторинга. Показаны методы работы и типы датчиков приборов обнаружения утечки газа.